



ඩෙප්පරාමිත සාකච්ඡාලුව මහින්ද්‍ර ප්‍රසාද



ශාක්ෂාත්‍යාචාරී ජාත්‍යන්තර
ප්‍රසාද ප්‍රසාද

ඉඹුන්ධි ආච්චරි

උබෝරුජයා දා
ර්යාමෝජයා උමැදිසා
මණ්ඩාමිසා
වූස්ථාන්ථිසා
ජාරතවේලිසාව

ცხორებად და წამებად წმიდისა მოწამისა
კოსტანტისი ქართველისად
უცნობი ავტორი

ცხორებად და წამებად წმიდისა მოწამისა
კოსტანტისი ქართველისად
რომელი იწამა ბაბილონელთა მეფისა ჯაფარის მიერ.

I

საყუარელნო, განცხადებულ არს ყოველთათვს, ვითარმედ არავინა იყო აღწერად იგი წიგნთად, გარნა მადლითა სულისა წმიდისამთა, რამეთუ დიდმან მან მოსე პირველად იწყო აღწერად შესაქმისა ცისა და ქუეყანისა, რომელ არასადა ეხილვა, არამედ უწყებითა სულისა წმიდისამთა აღწერა იგი, ვითარცა თუალითა ხილული. და მისა შემდგომად აღწერნა სხუანიცა წიგნნი, რომელთა შინა აუწყა გამოსლვად იგი ძეთად ისრაელისათად შემდგომითი-შემდგომად ვიდრე აღსრულებადმდე მისა. მერმე აღიწერნეს თქუმულნი იგი წინაასწარმეტყუელთანი, რომელსა ქადაგებდეს მოსლვისათვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა და ჭორციელად ღუაწლისა მისისათვს. ხოლო შემდგომად მოსლვისა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტისა აღწერნეს ოთხნი ესე ევანგელენი, რომელთაგან ეხარების ნათესავთა მომავალთა მოსლვად იგი უფლისად და განგებულებად მისი ჭორცითა მით, რომელ-იგი მიიხუნა ქალწულისა მარიამისგან წყალობისათვს ჩუენისა. და ამისა შემდგომად საქმენი მოციქულთანი, ვითარ-იგი მოჰვლიდეს ყოველსა სოფელსა და ახარებდეს სიტყუასა მას ცხორებისასა. და მრავალთა ჰრწმენა მათი და ნათელ- იღებდეს სახელითა მამისადათა და ძისამთა და სულისა წმიდისამთა. ხოლო მარადის მტერი იგი და მოშურნებ არავინ დასცხრა წინააღდგომად ჭეშმარიტებისათვს და აღაზრზნნა მეფენი მის უამისანი და იგინი აიძულებდეს მორწმუნეთა მათ მსახურებად კერპთა თვსთა, ხოლო რომელნი არა ერჩდეს მათგანნი, მოსწყუედდეს მათ პირითა მახვლისამთა და ცეცხლითა დასწულედეს. მაშინ აღ-ვინმე-დგეს კაცნი მორწმუნეთაგანნი. იწყეს აღწერად ცხორებად წმიდათა მოწამეთად და ვითარ სახით არნ აღსასრული ღუაწლისა მათისად სადიდებელად

წმიდათა მოწამეთა და აღსაბამვებელად, რომელთა შური- იგი საღმრთოდ აქუნდეს. ამისვე მიზეზისათვის, მეცა არა ღირსმან, ვინებე მიბაძვებად პირველთა მათ და აღვწერე ცხორებად და წამებად წმიდისა და ნეტარისა [მოწამისა კოსტანტისი], რომელი იყო დღეთა ჩუენთა, მეფობასა ღმრთის-მსახურისა თეოდორა დედოფლისა, რომელი-იგი მეუფებდა სამეფოსა ბერძენთასა, ვიდრე-იგი ყრმალა იყო მე იგი მისი მიქაელ. ამან ნეტარმან განწმიდა საბერძნეთი ყოველი საცთურისა მისგან, რომელი იყო დღეთა ქმრისა მისისათა ხატისა ურწმუნოებისად, და განამტკიცა ღუაწლი ბერძენთად და მრავალნი ჭალაკნი აღაშვინა, რომელნი მოოკრებულ იყვნეს აგარიანთა მიერ.

II

მას ჟამსა ოდენ იყო ვინმე ქუეყანასა ქართლისასა, სანახებსა ზენა-სოფლისასა, კაცი, რომელსა სახელი ერქუა კოსტანტი, რომელსა ეწოდა კახი სახელად მამულისა მის ქუეყანისა. კაცი ესე იყო წარჩინებულ ფრიად და დიდ ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა, ფრიადი სიმდიდრე აქუნდა და მრავალი შუებად აქუნდა ამის სოფლისად, და განთქმულ იყო სახელი მისი ქუეყანათა შორიელთა, ვიდრემდის მეფეთაცა მისმენილ იყო მისთვის. და ესე ნეტარი შემკობილ იყო ორ-კერძოდთავე მით საქმითა, ვითარცა ხც ფურცლითა და ნაყოფითა. და აქუნდა მას სარწმუნოებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტეს მიმართ, შეუორგულებელი და უმტკიცსი მთათად, და კეთილად აქუნდა ნეტარსა მას

სარწმუნოებად მღდელთ-მოძღუართა მიმართ და ყოველთა მოწესეთა ეკლესიისათა, ვითარცა იგი ღირს არს და მართლ. და უყუარდეს მას მონაზონნი და აქუნდა მათა მიმართ სარწმუნოებად და მოსწრაფე იყო მსახურებასა მათსა. და უკუეთუ ვინმე მონაზონთაგანი, გინა ყოვლადვე მოწესეთაგანი მივიდის სახლად მისა, მიეგებვინ იგი სიხარულით, თაყუანის სცის პირსა ზედა ქუეყანისასა და ფრიად განუსუენის მას და მრავლითა ნიჭითა წარგზავნის იგი.

ხოლო სტუმარ-მოყურებისა და გლახაკო-მოწყალებისა მისისათვის

ვერვის ძალ-უც მითხობად ღირსად, არამედ მცირედი ოდენ რამე ვთქუათ: ვინ, სადა ვინ მივიდა მისა მშიერი ანუ წყურიელი და არამცა განაძლო იგი, ანუ შიშუელი და არა შემოსა იგი სიხარულით?! მრავალნი მოივლტიედ მისა შორით ქუეყანით ლტოლვილნი თანამდებთა თვისთაგან, ხოლო მან მხიარულებითა დიდითა გარდაიკადის თანანადები იგი მათი. ვინ სადა იხილა მან ობოლი და გინა ქურივი და არა მსწრაფლ იღუაწა იგი?! და ამას ყოველსა თანა ფრიად მოღუაწე იყო იგი ნაკლულევანთათვს სახლისა თვისისათა, რამეთუ ესმინა თქუმული იგი პავლცს მოციქულისა, ვითარმედ "უკუეთუ ვინმე თვისთა და უფროვსლა სახლეულთა არა მოღუაწე იყოს, სარწმუნობად უარ უყოფის მას და არს იგი ურწმუნოთა უძვრცს". აქუნდა ნეტარსა მას სიმდაბლც და თავსდებად უფროვს ყოველთა კაცთა, რამეთუ ესმინა სიტყუად იგი მწვნელისა და მაცხოვრისა, ვითარმედ "ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვდ ვარ და მდაბალ". და შეერაცხა თავი თვისი უცოდვილცს ყოველთა კაცთა და ცრემლოინ იგი ცოდვათა თვისთათვს და მრავალ-გზის თქვსცა. ვითარმედ "არავინად ვესავ მოტევებასა ცოდვათასა, გარნა დათხევითა სისხლთა ჩემთამთა მისთვს, რომელმან იგი დასთხივნა სისხლნი ჩუენთვს".

III

გული უთქუმიდა ნეტარსა მას მისლვად იერუსალცმად და თაყუანის-ცემად წმიდასა გოლგოთასა. სადა-იგი იქმნა განახლებად ჩუენი მარჯუენისაგან მაღლისა და ნათლით- შემოსილისა და ცხორების-მომცემელისა საფლავისა და წმიდისა სოინისა, დედისა ეკლესიათასა, და ყოველთა წმიდათა ადგილთა, რომელთა დადგეს ფერწნი უფლისანი. და ვითარცა მიიწია იგი იერუსალცმად და მოილოცნა წმიდანი ადგილნი, და საფასც დიდ-ძალი მისცა ეკლესიათა, გლახაკთა და მკვდრთა იერუსალცმისათა. და მერმე გამოვიდა იერუსალცმით და მოვლნა

ყოველნი მონასტერნი უდაბნოვსანი და მკვდრნი იორდანისანი, და მრავალი განსუენებად და ნუგეშინის-ცემად მიჰმადლა მათ. ხოლო მათ მრავლითა ლოცვითა და კურთხევითა წარმოგზავნეს იგი. და ვითარ მოიქცა იგი ქუეყანადვე თვისა, ცხონდებოდა იგი ბრწყინვალედ მრავლითა ღმრთის-მსახურებითა. და მიერითგან არღარა დააცადებდა იგი სურვიელად კითხვასა იერუსალემის მშვდობისა და აღშენებასა გლახავთასა, რომელნი მყოფ იყვნეს მას შინა, და რად წელიწად, წარსცის ერთსა მსახურთა მისთაგანსა სამი ბევრი ვეცხლი, რომელიმე მისგანი წმიდათა ადგილთათვს და რომელიმე უდაბნოთათვს და რომელიმე გლახავთათვს, რომელნი მკვდრ იყვნეს იერუსალემს შინა. რამეთუ ესმინა მცნებად იგი პავლესი მოციქულისად, რომელი მიწერა კორინთელთა მიმართ, ვითარმედ "ნამეტნავი ეგე თქუენი იყავნ ნაკლულევანთა მათთვს, რომელნი არიან იერუსალემს, რამთა მათიცა იგი ნამეტნავი იყოს თქუენისა მის ნაკლულევანებისათვს".

და ვითარ მოხუცებულ იყო, იქმნა ნეტარი იგი ოთხმეოცდახუთისა წლისად. ჟამთა ოდენ ჰასაკისა მისისათა აღდგა დევნულებად დიდი ქრისტეანეთა ზედა ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა, და იყვნეს წყობანი დიდნი და [მოისრნეს] მრავალნი ქრისტეანეთაგანნი მათ შინა, რომელნი იღუწიდეს ჯულისათვს ქრისტესისა. ხოლო ნეტარი იგი შეიპყრეს კელად, ვითარცა წინამძღვარი და წარჩინებული ყოველსა ქუეყანასა ქართლისასა და პირ[ველ]ი ნათესავთა მისთად, და შებორკილეს იგი და ეგრცეთ წარიყვანეს ქალაქად ტფილისად და შეაყენეს იგი საპყრობილესა. ხოლო იგი ყოვლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მის ზედა და ჰმადლობდა იგი უფალსა. ხოლო შეპყრობად იგი ნეტარისა მის კაცისად არათუ თვნიერ რამე ღმრთისა იყო, არამედ, რომელი-იგი განაგებს ყოველსავე და მისცემს მიზეზთა ცხორებისათა ნათესავსა კაცთასა დაფარულითა განგებულებითა. ამას ზედაცა ინება სიხარულითი იგი მშვდობად, რამთა სახილველ იყოს ანგელოზთა და კაცთა კეთილი იგი საფუვარი გულს-მოდგინებისა მისისად, რომელი-იგი

მან წინავსწარვე იცოდა, არამედ არა დააცადა წინა- დაპყრობად მისი, რამეთუ ესვიდა ახოვანსა მას თვისსა და ვითარცა იგი იყო იობის ზედა და ყოველთა წმიდათა შემდგომითი-შემდგომად.

IV

და ვითარ წარადგინეს ნეტარი იგი ტფილისს შინა წინაშე მძლავრისა მის, რომელსა სახელი ერქუა ბუღა, აყუედრებდა იგი მას და ეტყოდა: “ანუ არა უწყოდეა შენ, რამეთუ [ვერ] განრინებად იყავ სივლტოლითა შენითა კელთაგან ჩემთა, რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლე, და არცა რომელი განემზადების წყობად ჩუენდა და არა ვერეოდეთ, რამეთუ აპა ესერა მოგუცნა თქუენ ღმერთმან დღესა ამას მოსასრველად კელთა ჩუენთა”.

მიუგო მას სანატრელმან კოსტანტი და ჰერქუა: „მეცა უწყი, ვითარმედ ღმერთმან მიგუცნა კელთა თქუენთა, არამედ არა სიყუარულისა თქუენისათვს, არცა საქმეთა თქუენთათვს კეთილთა, არამედ რამეთუ არა დავიმარხენით ჩუენ მცნებანი მისნი. ამისთვისცა ნათესავითა მით ურჩებისათვა განგუკაფნა ჩუენ, რამეთუ მრავალ-გზის იერუსალმიცა მისცის უფალმან კელთა უცხოთესლთასა, რაჟამს არა ვიდოდიან იგინი გზათა მისთა, ხოლო ჩემდა კეთილ არს, რამეთუ დამამდაბლა მე უფალმან, რამთა დავიმარხე მცნებანი მისნი“. და სიმჯნით დაითმენდა იგი უკეთურისა მის მძლავრებათა, რამეთუ ეჭსენა მას სიტყუად იგი ღმრთისამ, რომელსა იტყვს: "ნეტარ იყვნეთ თქუენ, რაჟამს გდევნიდენ და გყუედრიდენ და თქუან ყოველი სიტყუად ბოროტი თქუენდა მომართ სიცრუვით ჩემთვს". და ვიდრე პყრობილდა იყო მოწამდე ქრისტესი ტფილისს შინა, მიწერა წიგნები ყოველთა მიმართ მეუდაბნოეთა ქალაქისათა და მამასახლისთა მონასტრისათა, რომელსა წერილ იყო ესრცეთ: „უწყი მე, რამეთუ გასმიეს თქუენ, რად ესე მოაწია ღმერთმან ჩემ ზედა ცოდვათა ჩემთათვს, არამედ გევედრები თქუენ, წმიდანო მამანო და ჭეშმარიტნო მოღუაწენო ქრისტესნო, რამთა მოიჭისენოთ სურვილი ჩემი და სარწმუნოებად თქუენდა მომართ და ინებოთ ჩემთვს ლოცვისა

ყოფად უფლისა მიმართ, არა ხოლო თუ რამთამცა მიწსნა მე წელთაგან უსჯულოვსათა, არამედ რამთა მომცეს მე ძალი ქრისტემან, ჭეშმარიტმან ღმერთმან, წინამდებარისა ამისთვის საბრჯისა, რომელი დაურწყავს მტერსა ჩემსა, რომელთა პნებავს დაბრკოლებად ჩემი გზისა მისგან, რომლისათვის ჰსურის სულსა ჩემსა“.

V

და შემდგომად მცირედთა [დღეთა] შეკრეს იგი ფიცხლითა საკრველითა რკინისამთა და წარსცეს იგი ქუეყანად ბაბილოვნისა ქალაქსა, რომელსა ჰრეკან სამარად. მიჰელარეს იგი მეფესა მას ისმაიტელთასა, რომელსა სახელი ერქუა ჯაფარ მე აბრაჰამისი. ხოლო რაჟამს წარადგინეს მოწამე ქრისტესი წინაშე მისსა, ჰრეკუა მას: “აპა ესერა მოცემულ ხარ შენ წელთა ჩემთა და მეუფებად მაქუს შენ ზედა ყოფად კეთილისა და ბოროტისა, არამედ ისმინე და მერჩდი მე, აღიღე რჩული ჩუენი და უვარ-ყავ ცთომავ. იგი შენი ქრისტეს ღმრთისათვის, რამეთუ გონიერად გხედავ შენ, და ვითარ აწ ლიტონსა კაცსა, დედაკაცისაგან შობილსა, ღმრთად აღიარებ? დასცხერ ამიერითგან, რამეთუ ვერ შესაძლებელ არს სიტყუად, ვითარმცა ძღ ესუა ღმერთსა. ხოლო აწ

მოიქაც ცთომილებისაგან შენისა და მიიღო ჩემგან კეთილი და უაღრცესი პატივი და გყო შენ თანამზრახუელად ჩემდა და უდიდებულეს ყოველთა მოყუასთა შენთა. და უკეთუ არა ისმინო ჩემი, სიკუდილითა მოჰკუდე შენ პირითა მახვლისამთა, და წორცნი შენნი მივსცნე საჭმელად მფრინველთა ცისათა, და ვინ არს, რომელმან განგარინოს შენ წელთაგან ჩემთა”. მიუგო მას წმიდამან მოწამემან ქრისტესმან და ჰრეკუა: “მეცა უწყი, რამეთუ წელმწიფებად გაქუს წორცთა ჩემთა ზედა, არამედ არა სულსა, ვითარცა იტყვს უფალი ჩემი და ღმერთი, ამისთვისცა არა მეშინის მე მახვლისაგან შენისა, არამედ მისა მეშინის, რომელი-იგი შემძლებელ არს მოწყუედად სულისა და წორცთა და კუალად წელმწიფებად აქუს განცხოველებად, ვითარცა იგი მოსიკუდიდ, ამისთვისცა სიხარულით

მოვითმენ სახელისა მისისათვს, რამეთუ იგი არს ჭეშმარიტი ღმერთი, ძლიერი კელმწიფე და მთავარი მშვდობისა, მამა მერმეთა მათ საუკუნეთა, ვითარ წერილ არს. აწ უკუე ვითარ შეურაცხ-ვყო იგი და ვერჩდე ბრძანებასა შენსა და რჩულსა თქუენსა, რომელთა წინააღმდეგ გუაყუელი გუაყუედრებს და იტყვს: "არა ესმის ქანანს, არცა გამოჩნდა თემანს, არცა ძეთა აგარისთა მეფეთა და მეზღაპრეთა გამომეძიებელთა გონიერებისათა ქუეყანასა ზედა, ხოლო გზად იგი ჭეშმარიტებისად არა გულისჯმა ჰყვეს და არცა მოიჯინენ ალაგნი მისნი და წარწყმდეს იგინი მსგავსად მისა". აწ რომელსა წინააღმდეგ გუაყუელი შეასმენს ესრცება და წარწყმდედასა აქადებს, ვითარ მათი ვისმინო, არამედ აღასრულე ჩემ ზედა, რაო-იგი გეგულების".

ხოლო ვითარცა ესმნეს სიტყუანი ესე მეფესა მას, აღივსო იგი გულის-წყრომითა დიდითა და რისხვად გულის-წყრომისა მისისად სასტიკებით უფროვსლა აღატყდებოდა მის ზედა და ბრძანა მიცემად მისი საპყრობილესა ფიცხელსა. და მიავლინა მისა ორნი იგი ერისთავნი, რომელნი ტყუეობითვე მიეყვანეს სომხითით და უვარისყოფითა ქრისტესითა პატივ-ცემულ იყვნეს მის წინაშე. და ვითარ მივიდეს იგინი, ჰრქუეს წეტარსა მას: "ამას იტყვს უფალი ჩუენი მეფე, ვითარმედ ერთ-გზის გამხილებლა უგუნურებასა შენსა, რამეთუ სამ-გზის რჩულ-დებულ არს ჩუენდა ურწმუნოთა მხილება. აწ ისმინე ჩუენი, რამთა სცხონდე, და ნუ ესავ სასოებასა მაგას არა სასოსა, რამეთუ ღმრთისა მიერ მოცემულ ხარ შენ კელთა ჩუენთა და ჩუენცა ესრცება გაზრახებთ შენ: ნუ დადგრომილ ხარ შენ სიფიცხლესა მაგას შინა, ვითარცა უგულისჯმომ, რამეთუ გონიერად გიცით შენ. და ჩუენცა ქრისტეანენივე ვიყვენით, არამედ ვერ შეუძლეთ წინააღდგომად ბრძანებასა მეფისასა, ამისთვის მოვიგეთ მისგან პატივი, ხოლო საუკუნესა მას ცხორებასა, ვინ უწყის, რაო უმჯობეს არს". მაშინ მიუგო წმიდამან კოსტანტი მოვლინებულთა მათ და ჰრქუა: "ესრე არქუთ მეფესა თქუენსა: [ნუ] ჰგონებ რასა ესევითარსა საქმესა ჩემგან, დაღაცათუ ჩუეულება მეფეთად ბაბილონისათა გაიძულებს შენ, რამეთუ იგინიცა წინააღმდგომ იყვნეს ჭეშმარიტებისა,

არამედ ბრძანე შენ ყოფად, რად იგი გეგულების ყოფად, იქმოდე. ხოლო თქუენ რავსალა ზედამდგომელობთ და დამესხმით, ვითარმცა მეცა თქუენ გემსგავსე? ამიერითგან განმეშორენით ჩემგან, რავთა გამოვიძინე მე მცნებანი ღმრთისა ჩემისანი". და აღიპყრნა კელნი თვესნი ზეცად, აღალო პირი თვესი წინაშე მათსა და იტყოდა: "გიგალობ შენ, უფალო, ღმერთო ძალთაო, ღმერთო საუკუნეთაო, რომელმან მომეც მე ძალი წინააღდგომად უკეთურისა ამის მსაჯულისა, ვითარცა იგი წინავსწარ სთქუ, ვითარმედ "თქუენ მომცენით გულნი თქუენნი და მე მიგეც ძალი ჩემი". ღირს მყავ მე ნათელსა პირისა შენისასა, რამეთუ შენდა მოვივლტი, ქრისტე, ძეო ღმრთისაო. და აპა ესერა მოუძლურებულ ვარ მე ყოველთაგან წარმართთა სახელისა შენისათვეს წმიდისა, უფროვსლა უსჯულოვსა ამისგან მეფისა. და აწ, უფალო ღმერთო ჩემო, შეიწირე მსხუერპლი ესე ჩემი და შეივედრე სული ჩემი კელთაგან წარმართთასა და მომმადლე აღთქუმავ, რომელ აღუთქუ, ვითარმედ "რომელთა აღმიარონ მე წინაშე კაცთა, პატივ-სცეს მამამან ჩემმან". და ვითარცა იგი ამასვე ადგილსა ადიდეს წმიდანი იგი ყრმანი, რომელთა აღგიარეს შენ, და მეცა ღირს მყავ მათ თანა, რომელი-ეგე გამოსჩნდი მათ თანა მეოთხედ.

და ვითარცა ესე მე აღგიარებ წინაშე უსჯულოვსა ამის მეფისა, შენცა, სახიერო უფალო, აღმიარე მე წინაშე ანგელოზთა შენთა. და ვითარცა იგი დღეინდელსა დღესა, ამას დღესა შინა ადიდე ღირსი შენი მოწამე წმიდად გიორგი და შეიწირენ შრომანი მისნი და დათხევად უბიწოვსა სისხლისა მისისად, შეიწირენ უნდო[ნი]ცა ესე სისხლი ჩემნი და მომეც მე ნაწილი მის თანა, რავთა წილ-მხუდეს რჩეულთა შენთა თანა, რამეთუ სამკვდრებელი შენი მტკიცე არს ჩემდა". და ამას რად იტყოდა წმიდად მოწამე, ნაკადულნი ცრემლთანი გარდამოდიოდეს თუალთაგან მისთა ჩუეულებისაებრ მისისა, ხოლო გარემოს მდგომარენი იგი მისნი სცემდეს პირსა მისსა და მრავლითა ტანჯვითა სტანჯვიდეს მას, არამედ ენად მისი ვერ დააბრკოლეს გალობად. ხოლო ერისთავნი იგი მოიქცეს და უთხრეს მეფესა მას ყოველი, რავცა ესმა და იხილეს. მაშინ უფროვსლა განრისხნა

მეფში იგი და წარავლინნა იგინი და უბრძანა მოკულეთად თავისა მისისად, არამედ ამით გამოსცდიდაცა მათ, რამეთუ აქუნდა იჭკ მათა

მიმართ. ხოლო იგინი მივიდეს და სცემდეს მახვლითა ქედსა მისსა წინაშე დალიჭსა მას და ვერარას ავნებდეს მას. და ვითარ აუწყეს ესე უსჯულოსა მას მეფესა, წარავლინა მან ერთი წინაშე მდგომელთაგანი უცხოთესლი და მან მოკულეთა თავი მისი მახვლითა, და შეართუა მეფესა თვისსა, ვითარცა იგი თავი იოანე ნათლის-მცემელისად ჰეროდეს.

VI

ხოლო გუამი მისი დამოჰკიდეს ძელსა ფრიად მაღალსა. ყოველმან ერმან იხილეს სასწაული დიდი გუამსა მას ზედა. და მივიდა წმიდად იგი

მოწამე ქრისტესი ადგილსა მას განსასუენებელისასა, რომლისაგან განშორებულ არიან ყოველნი სალმობანი, მწუხარებანი და ჭირნი, სადა-იგი ხედავს ნათელი პირისა შენისად, უფალო, სადა-იგი ვერ მისწუთებიან ენანი ძვრის-მეტყუელთანი, არამედ სიხარული დაუსრულებული არს მუნ და წმიდათა ანგელოზთა თანა მოქალაქობად. ხოლო აღესრულა იგი კეთილითა აღსარებითა თუესა ნოენბერსა ათსა, დღესასწაულსა წმიდისა გიორგისსა, რომლისაცა თანა ზიარ იქმნა, დღე იყო პარასკევი, დასაბამითგანნი წელიწადნი იყვნეს ექუს ათას ოთხას ორმეოცდა ათშვდმეტ, ხოლო ზედაწერილსა ისმაიტელთასა ორას ოც და ათორმეტსა. და ესე მრავლისაგან მცირედ აღიწერა სიმწნეთაგანი წმიდისა კოსტანტისი, რამთა იყოს თქუმული ესე შემოკლებულ და სრულ, რამთა არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე ამჰნ.

VII

და ვითარცა მიესმა პირველმოწვენებულთა წმიდათა მეფეთა

მარტკლობად წმიდისა კოსტანტისი, განიხარეს სიხარულითა დიდითა და მისწერეს ებისტოლც შვლთა მიმართ მისთა და ნათესავთა სახლისა მისისათა, რამეთუ ფრიად მრავალ იყვნეს იგინი, რომელსა წერილ იყო ესრცეთ: “რამეთუ, რომელნი-იგი პირველად სიტყუანი მოიწეოდეს სასმენელთა ჩუენთა, რომელ-იგი იქმნებოდა თქუენ მიერ სიმართლისათვს და იქადაგებოდა, ხოლო აწ საქმენი თქუენნი, რომელთა იქმოდეთ, მოწამე არიან თქუენდა და თქუმული იგი დაემტკიცა ფრიად და დაენერგა კეთილად შჯულიერობად თქუენი. და ჭეშმარიტად გულს-მოდგინებისა თქუენისა საქმც, რამეთუ მცირითა მით მიზეზითა, რომელი იყო დამტკიცებულ გულთა თქუენთა სარწმუნოებად, გამოაცხადეთ იგი უღმრთოთა ზედა და ვითარცა სრულნი ქრისტეანენი, ყოველნი ერთბამად ერთ-სიტყუა იქმნენით, და ვითარცა ერთსა შჯულსა შინა იყვენით, და უფალსა პირის-პირ თქუენსა ყოველსა ჟამსა ხედევდით, შეურყეველნი ურთიერთას დაადგერით სასოებითა ქრისტცესითა მტერთა ზედა ჯუარისათა და ქრისტცეს თანა მოსწრაფებით მამაკაც იქმნენით და პირნი მათნი გინებითა აღავსენით და ძლევით-შემოსილთა შეერთებულთა სივლტოლად იგი მათი განუცხადეთ. და ესე იქმნა ძალითა ღმრთისათა საქმც განსრულებული და სიქადული მამათა თქუენთათ. და რამთა დავატკბნეთ სიტყუანი ჩუენთვს და თქუენთვს, ჯერ არს [მოვსენებად ღუაწლი] ნეტარისა ამის მოწამისა კოსტანტისი და წინააღდგომად სიმჯნისა მისისად მტერთა მიმართ უხილავთა. და გიჩუენო თქუენ, საყუარელთა ჩუენთა, რომელნი-ეგე ხართ ჭეშმარიტად შვილნი მისნი და ხატნი ჯორციელებისა მისისანი, ვითარმედ რაჟამს ჰბრძოდა იგი ეშმაკთა, შიშითა ღმრთისათა ჯორცნი თვისნი წინადაუპყრნა, არათუ სიჯშოთა ამით საქმითა ჯორციელებისათა მიმხედველ იყო, არცაღა ბრწყინვალე უჩნდა მას ნათელი მზისა ამის წარმავალისა, არცაღა ტკბილ უჩნდა მას სიმცხინვარც მზის-თუალისად განქარვებადი და გულისწყრომითა ნათლისა მის მომავალისათა ღრუბლად ჰხედვიდა მზესა ამას აღმომავალსა და სიყუარულითა ქრისტცესითა ყოველნი გემონი სოფლისანი, ვითარცა სისხლი კბილთათ, ეგრეთ წარმოპნერწყუა

სურვილითა დიდისა მის გულის- სათქუმელისადთა და სიბრძნითა ზრახვისა მისისადთა ძმა ცულებისა მიმართ. ამისთვისცა ყოველი დიდებად ამის სოფლისად, ვითარცა ნაგევი, ეგრეთ შეკრაცხა, რადთა ქრისტე ოდენ შეიძინოს, და აწ ამისთვისცა მისნი არიან ცანი და ქუეყანად და ყოველი, რად არს მას შინა, რამეთუ ყოველივე დაუტევა და ღმრთისა ოდენ იქადოდა, რომელი - იგი ქებულ არს ღმრთისა მიერ და ანგელოზთა მისთა და საქმეთა მისთაგან უკუნისამდე იქების.

აწ არა გვკვრთ ჩუენ ნუგეშინის-ცემად თქუენი მისთვს, ვინათგან იგი არს ნუგეშინის-მცემელი და მეოხი ჩუენი და თქუენი წინაშე ქრისტესა, არამედ დაუტეოთ აწ არადატეობილი ესე და თქუენდა მოვიქცეთ სიტყუად, შეწყნარებულთა ღმრთისათა და ჩუენთა, და სადგურისა თქუენისა პატიოსნებად ჩუენ წინაშე წარსრულისა მის პატივითა სიტყვთ და საქმით გაუწყო თქუენ, რადთა გულ-პყრობილ იყვნეთ ჩუენდა მომართ და დაეფარნეთ ქუეშე ფრთეთა მეუფებისა ჩუენისათა, რამეთუ ნებასა შჯულისასა მხედველ ხართ და ყოველი, რომელი მას წინააღმდეგების, განაგდებს ქრისტესა, თქუენ შორის მეტყუელსა. მოსწრაფებით ისმინეთ და მის მიერ ცხებულთა თავნი თქუენნი დაუმდაბლენით და უღელსა ჩუენსა ქუეშე ქრისტეს-მიერსა ქედნი თქუენნი წარუპყრენით და სუბუქისა ტკრთისა ჩუენისა აღვიდებად მკართა თვეთა ზედა არა გარე-წარიცოდეთ. თქუენ ხართ ჭეშმარიტნი მინდობილნი უფლისანი და მთასა სიონსა ემსგავსენით და გოდოლ-ძლიერებისად პირსა მტრისასა ეჩუენენით. თქუენ საქმეთაგან გამოაცხადეთ, ვითარმედ კუალსა ღმრთისა[სა] და კაცთა მიერ საკვრველისა მის მამისა თქუენისა კახაძესა [სათნოებასა] მოსწრაფებით შეუდეგით, სტუმართ-მოყუარებითა და გზათა-მამშვდებელობითა, მონაზონთა და შორიელთა შეწყნარებითა. აწ ამას ზედა დაადგერით და სრულ ყავთ მოქალაქობად ნეტარისა მის, რამეთუ საფარველმან მეფობისა ჩუენისამან იღუაწოს თქუენთვს და მთამან სიდიდისა ჩუენისამან ქრისტეს-მიერმან აღადგინოს დაბრკოლებად თქუენი, და აწ ამას ზედა იქმოდეთ და მით გულპყრობილ იყვენით.

ამას არათუ თქუენ ოდენ გიბრძანებთ, არამედ ყოველთა, რომელნი ჩუენ-კერძო და კელთა ქუეშე ჩუენსა არიან ქართველნი, რამეთუ ყოველთავე ქრისტის-მოყუარეთა და მეფობისა ჩუენისა ღმრთისა-მიერთა და ვითარცა შვილთა საკუთართა თქუენთა თანა შევპრაცხ, არამედ კუალად აღდეგით და განძლიერდით უფლისა მიერ. და სიდიდითა ძალისა მისისათა ლახუარნი თქუენნი მტერთა ზედა განაბრწყინვენით და ნუვის სცემ მათგანსა თქუენ შორის სამკვდრებელსა, რათა მიიღოთ კეთილი ჩუენი და აღთქუმული იგი კეთილის-მოქმედთათვს უფლისა მიერ მოიღოთ”.